ქ. თბილისი 10.05.2022 წელი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ერთი მხრივ, **საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია** (შემდგომში „მთავრობის ადმინისტრაცია) წარმოდგენილი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველის, ნიკო თათულაშვილის სახით და მეორე მხრივ, **საქართველოს ადგილობრივ თვითმართველობათა ეროვნული ასოციაცია** (შემდგომში „ასოციაცია") წარმოდგენილი ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრის, გიორგი ტყემალაძის სახით, ხელმძღვანელობენ რა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებით, გამოხატავენ რა ურთიერთთანამშრომლობის სურვილს, ითვალისწინებენ რა ორივე მხარის სამუშაო მიმართულებებსა და პრიორიტეტულ საკითხებს საქართველოს თვითმმართველ ერთეულებთან მიმართებაში, აღიარებენ, რომ მხარეების თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებას და შედეგად სრულფასოვანი განვითარებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნას, გამოხატავენ თანამშრომლობის სურვილს და საკუთარი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობის ფარგლებში, დებენ წინამდებარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს შემდეგზე:

1. მემორანდუმის მიზანი

1.1 მხარი დაუჭირონ ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას აღმასრულებელ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის.

1.2 თანამშრომლობით, მხარი დაუჭირონ ადგილობრივ დონეზე ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემური მექანიზმების გაუმჯობესებას და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელებას.

1.3 თანამშრომლობით, მხარი დაუჭირონ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფარგლებში მოქმედი თანასწორობის უზრუნველმყოფი მექანიზმების, მათ შორის, გენდერული თანასწორობის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოების ეფექტიან საქმიანობას.

1.4 თანამშრომლობით, ხელი შეუწყონ ადგილობრივ დონეზე ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიისა და სამთავრობო სამოქმედო გეგმების ლოკალიზაციისა და განხორციელების პროცესს.

1.5 თანამშრომლობით, ხელი შეუწყონ მუნიციპალიტეტების აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებში ადამიანური რესურსების გაძლიერებას, კოორდინაციის გაღრმავებისა და სხვადასხვა სფეროში გამოცდილების გაზიარების გზით.

2. მხარეთა ვალდებულებები

2. მხარეები იღებენ ვალდებულებას:

2.1. კომპეტენციის ფარგლებში, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული პოლიტიკის წარმართვის მიზნით, შეიმუშაონ და განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები, როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალური ხელისუფლების დონეზე.

2.2. კომპეტენციის ფარგლებში განახორციელონ ერთობლივი ღონისძიებები ადგილობრივ დონეზე ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემური მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით, მათ შორის, გააძლიერონ და ხელი შეუწყონ მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოების ეფექტიან საქმიანობას.

2.3. კომპეტენციის ფარგლებში ითანამშრომლონ და განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმების ლოკალიზაციისა და ადგილობრივ დონეზე იმპლემენტაციის მიზნით.

2.4. კომპეტენციის ფარგლებში ითანამშრომლონ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებში ადამიანური რესურსების გაძლიერების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სხვადასხვა სფეროში გამოცდილების გაზიარების უზრუნველსაყოფად.

3. მემორანდუმის მოქმედების ვადა და ცვლილებების შეტანის წესი

3.1 მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია რომელიმე მხარის ინიციატივით მის გაუქმებამდე.

3.2 ნებისმიერ მხარეს შეუძლია ამ მემორანდუმის გაუქმება სხვა მხარეებისთვის 30 (ოცდაათი) დღით ადრე წერილობითი შეტყობინების მიწოდების საფუძველზე.
3.3 მემორანდუმში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

3.4 მემორანდუმის გაუქმების შემდეგ მხარეებმა (მათი შესაძლებლობების ფარგლებში) უნდა განახორციელონ ყველა შესაბამისი და აუცილებელი ღონისძიება მემორანდუმის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესასრულებლად.

4. დამატებითი დებულებები

4.1 მემორანდუმის მიზნების განხორციელებისთვის მხარეებმა, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ითანამშრომლონ მესამე პირებთან.

4.2 მხარე, რომელსაც ფორსმაჟორული გარემოებების გამო, ხელი შეეშლება თავისი ვალდებულებების შესრულებაში, არ უნდა იქნას განხილული ამგვარი ვალდებულებების დამრღვევად. ხსენებულმა მხარემ ყველა ღონე უნდა იხმაროს ფორსმაჟორულ გარემოებათა შედეგების შესამსუბუქებლად. ამავე დროს, მხარეებმა ერთმანეთთან უნდა აწარმოონ კონსულტაციები ამ მემორანდუმის შემდგომი განხორციელების საშუალებებზე.

4.3 წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების საკითხი განიხილება ინდივიდუალურად, მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

5. მხარეთა რეკვიზიტები

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

მის: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. N7
ტელ: (995 32) 299 09 00

ნიკო თათულაშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია

მის: ქ. თბილისი, ა. ბელიაშვილის ქ. N 142
ტელ.: (995 32) 272 67 34

გიორგი ტყემალაძე

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი